

შპს „ბიდი პლიუსი“
ს/ნ 400177615
მის: ქ.თბილისი, დ.ჯაბიძის №8
ტელ: (+995) 32 267-49-44



BD Plus LTD
I/N: 400177615
Address: №8 D.Jabidze street,
Tbilisi, Georgia
Tel: (+995) 32 267-49-44

ძირითადი საქმიანობა

შპს „ბიდი პლიუსი“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) დაფუძნდა 2016 წლის 7 ივნისს, მარეგისტრირებული ორგანო არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანის ნაძალადევის რაიონი ღავით ჯაბიძის №8. კომპანიის დამფუძნებლებია“ შპს ბას გრუპი 26% და გიორგი თვალაძე 74%.

ორგანიზაციის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საყოფაცხოვრებო ქიმიით და ჰიგიენური საშუალებებით ვაჭრობა.

დანართი N1, დანართი N2 და დანართი N3--ში მოცემულია 2021 წლის ფინანსური მდგომარეობის და სრული შემოსავლის არა აუდიტირებული ანგარიშგება.

გამოყენებული სააღრიცხო პოლიტიკა

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

	12/31/2021	12/31/2020
ლარი საბანკო ანგარიშებზე	66,878	146,184
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	13,241	12,466
ნაღდი ფული საღაროში	26,739	4,165
ჯამურად ნაღდი ფული საღაროში	26,739	4,165
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	106,858	162,815

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად, მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არ არის იდენტიფიცირებული არსებითი ღირებულების უიმედო ვალები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული დავალიანება, შესაბამისად მენეჯმენტი არ ახორციელებს მათ დარეზერვებას პერიოდის ბოლოს.

	12/31/2021	12/31/2020
სავაჭრო მოთხოვნები	4,147,430	3,425,252
სულ მიმდინარე მოთხოვნები	4,147,430	3,425,252



სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ბალანსზე რიცხული მარაგები არ წარმოადგენს მალფუჭებად პროდუქციას და არის სწრაფად ბრუნვადი რის გამოც არ არის იდენტიფიცირებული არაბრუნვადი მარაგები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

	12/31/2021	12/31/2020
სავაჭრო საქონელი	2,284,408	1,696,181
სარეკლამო მასალები	28,708	18,553
საწვავი	12,322	7,213
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2,325,439	1,721,947

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. პერიოდის ბოლოს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება რეალური საბაზრო ღირებულებისგან და არ საჭიროებს შეფასებას.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწას, ხელოვნების ნიმუშებსა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ქვემოთ მოცემული საექსპლუატაციო პერიოდის შესაბამისად

- ოფისის აღჭურვილობა 10-20
- კომპიუტერული ტექნიკა 10-20
- სატრანსპორტო საშუალებები 10-20
- ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა 5-10

შპს „ბიდი პლუსი“
ს/ნ 400177615
მის: ქ.თბილისი, დ.ჯაბიძის №8
ტელ: (+995) 32 267-49-44



BD Plus LTD
I/N: 400177615
Address: №8 D.Jabidze street,
Tbilisi, Georgia
Tel: (+995) 32 267-49-44

საწყისი ღირებულება	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები
ბალანსი 31/12/2019	5,482	23,355	89,222	62,391	7,213
დანამატები	3,431	8,071	61,177	20,070	8,338
აქტივების ჩამოწერა	-	(1,653)	(843)	-	-
ცვეთა პერიოდისათვის	(2,558)	(9,871)	(34,636)	(31,668)	(5,075)
ჩამოწერილი აქტივების	-	907	-	-	-
ცვეთა	-	-	-	-	-
ბალანსი 31/12/2020	6,355	20,809	114,920	50,793	10,476
დანამატები	5,435	16,997	28,729	107,535	653
აქტივების ჩამოწერა	-	-	-	(11,000)	-
ცვეთა პერიოდისათვის	(3,242)	(10,935)	(44,258)	(37,835)	(5,401)
ჩამოწერილი აქტივების	-	-	-	8,583	-
ცვეთა	-	-	-	-	-
ბალანსი 31/12/2021	8,548	26,871	99,390	118,075	5,727
ბალანსი 31/12/2019	5,482	23,355	89,222	62,391	7,213
ბალანსი 31/12/2020	6,355	20,809	114,920	50,793	10,476
ბალანსი 31/12/2021	8,548	26,871	99,390	118,075	5,727

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ

- ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაციამ მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და
- ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

ბალანსზე რიცხული არამატერიალური აქტივები მოიცავს ეკონომიკური საქმიანობაში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფას.

სავაჭრო ვალდებულებები და მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების

შპს „ბიდი პლუსი“
ს/ნ 400177615
მის: ქ.თბილისი, დ.ჯაბიძის №8
ტელ: (+995) 32 267-49-44



BD Plus LTD
I/N: 400177615
Address: №8 D.Jabidze street,
Tbilisi, Georgia
Tel: (+995) 32 267-49-44

შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე, მათზე გადახდილი ავანსები, სახელფასო ვალდებულებები და სხვა მიმდინარე გადახდები.

	12/31/2021	12/31/2020
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	929,028	1,334,826
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	-	-
გადასახდელი ხელფასები	83,647	71,081
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	7,650	6,970
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1,020,325	1,412,878

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

ღივიდენდები

ღივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდში გამოცხადებული ღივიდენდი მიკუთვნებულია იმ საანგარიშო პერიოდს რომელ პერიოდშიც მოხდა მისი განაწილება.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. პერიოდის შემოსავლები მოიცავს დასაბეგრს და დაუბეგრავი მომსახურებით მიღებულ შემოსავლებს, რომლებზეც ხდება პროპორციული ჩათვლები და წარდგენილია დეკლარაციები შესაბამისი პროპორციის გამოყენებით.

შემოსავალი რეალიზაციიდან და გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შედავათების საფუძველზე.

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს ჩამოწერილ მარაგების თვითღირებულებას და მის გაყიდვაზე გაწეულ პირდაპირ დანახარჯებს,

შპს „ბიდი პლუსი“
ს/ნ 400177615
მის: ქ.თბილისი, დ.ჯაბიძის №8
ტელ: (+995) 32 267-49-44



BD Plus LTD
I/N: 400177615
Address: №8 D.Jabidze street,
Tbilisi, Georgia
Tel: (+995) 32 267-49-44

	12/31/2021	12/31/2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	20,605,958	18,586,946
ფასდათმობა	(179,897)	(168,838)
გაყიდული მარაგის თვითღირებულება	(12,361,146)	(11,193,538)
სულ წმინდა შემოსავალი	8,064,915	7,224,570

ხარჯები

საწარმო ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის საწვავად. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

	12/31/2021	12/31/2020
მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	2,584,114	2,200,990
რეკლამის ხარჯი	60,284	33,762
საწვავის ხარჯი	373,056	229,531
სამეურნეო ხარჯი	5,853	9,363
კომუნიკაციის ხარჯი	9,435	7,167
საკანცელარიო ხარჯი	7,651	5,842
დაზღვევის ხარჯი	21,346	14,841
საკონსულტაციო ხარჯი	15,254	15,254
საბანკო ხარჯი	14,668	14,529
მივლინების ხარჯი	32,624	5,753
ავტომობილის შენახვის ხარჯი	47,991	27,279
საგადასახადო ხარჯი (ჩაუთვლელი დღგ-ს პროპორცია)	284,594	175,086
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	281,662	185,525
სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	3,738,532	2,924,921

შპს „ბიდი პლუსი“
ს/ნ 400177615
მის: ქ.თბილისი, დ.ჯაბიძის №8
ტელ: (+995) 32 267-49-44




BD Plus LTD
I/N: 400177615
Address: №8 D.Jabidze street,
Tbilisi, Georgia
Tel: (+995) 32 267-49-44

დანართი N 1

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები		258,611	203,352
არამატერიალური აქტივები		5,002	8,242
სულ გრძელვადიან აქტივები		263,612	211,594
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		2,325,439	1,721,947
სხვა მიმდინარე მოთხოვნები		14,235	10,065
სავაჭრო მოთხოვნები		4,147,430	3,425,252
გადახდილი გადასახადები		143,241	232,544
ფული და ფულის ექვივალენტები		106,858	162,815
სულ მიმდინარე აქტივები		6,737,203	5,552,622
სულ აქტივები		7,000,815	5,764,217
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		5,090,311	3,297,000
სულ კაპიტალი		5,090,311	3,297,000
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	929,028	1,334,826
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	91,297	78,051
მოკლევადიანი სესხები	8	890,179	983,604
გადასახდელი პროცენტები		-	70,736
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,910,504	2,467,218
სულ ვალდებულებები		1,910,504	2,467,218
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		7,000,815	5,764,218

შპს „ბიდი პლუსი“
ს/ნ 400177615
მის: ქ.თბილისი, დ.ჯაბიძის №8
ტელ: (+995) 32 267-49-44



BD Plus LTD
I/N: 400177615
Address: №8 D.Jabidze street,
Tbilisi, Georgia
Tel: (+995) 32 267-49-44

დანართი N 2

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	20,426,061	18,418,108
თვითღირებულება	11	(12,361,146)	(11,193,538)
მთლიანი მოგება		8,064,915	7,224,570
ადმინისტრაციული ხარჯი	13	(3,738,532)	(2,924,921)
ხელფასის ხარჯი		(2,500,245)	(2,034,067)
ცვეთის ხარჯი		(104,912)	(87,049)
იჯარის ხარჯი		(170,603)	(128,972)
საოპერაციო მოგება		1,550,624	2,049,560
არა საოპერაციო შემოსავალი		621,865	597,493
არა საოპერაციო ხარჯი		(62,435)	(1,080)
საპროცენტო ხარჯი		(75,085)	(167,954)
მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან		27,388	(135,141)
სულ არა საოპერაციო მოგება/ზარალი		511,733	293,318
მოგება დაბეგვრამდე		2,062,357	2,342,878
მოგების გადასახადი		(42,667)	(10,644)
წმინდა მოგება		2,019,691	2,332,234
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		2,019,691	2,332,234

შპს „ბიდი პლუსი“
ს/ნ 400177615
მის: ქ.თბილისი, დ.ჯაბიძის №8
ტელ: (+995) 32 267-49-44



BD Plus LTD
I/N: 400177615
Address: №8 D.Jabidze street,
Tbilisi, Georgia
Tel: (+995) 32 267-49-44

	2021	2020
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის შემდეგ	2,019,691	2,332,234
კორექტირება:		
ცვეთის ხარჯი	104,912	87,049
საკურსო სხვაობით მიღებული შედეგები	(27,388)	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	2,097,214	2,419,283
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში	(722,178)	(1,259,478)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(603,492)	(710,924)
ცვლილებები სხვა მიმდინარე მოთხოვნებში	(4,171)	37,888
ცვლილებები გადასახადებში	89,303	(217,238)
ცვლილებები გადასახდელ პროცენტებში	(68,840)	(51,949)
ცვლილებები სავაჭრო ვალდებულებებში	(368,157)	746,243
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	419,679	963,826
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითად საშუალებებში	(160,171)	(102,739)
ცვლილებები არამატერიალურ აქტივებში	3,240	3,240
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(156,930)	(99,499)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსავალი მოკლევადიანი ნასესხები ფულადი სახსრებიდან	(91,662)	(728,390)
განაწილებული დივიდენდი	(226,379)	(42,000)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(318,041)	(770,390)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	(666)	-
ფული და ფულადი ექვივალენტის წეშო ცვლილება	(55,958)	93,937
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	162,815	68,879
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	106,857	162,816

დირექტორი

არჩილ ქოქაშვილი

30.09.2022

